პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 120 (4630)

1972 წ. 21 ივნისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაჭრი მსოფლიო პირველობაზე

## მეთოთხმეტე პარტია

**ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი**

ნიმცოვიჩის დაცვა

**1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4**

მსოფლიო ჩემპიონი პირველად მიმართავს ნიმცოვიჩის დაცვას თავის პრაქტიკაში.

**4. e3 c5 5. მge2 cd**

ნონა გვერდს უვლის დამკვიდრებულ გეგმას 5. ... 0—0, c5 ან მc6. მას სურს ბრძოლა ლაზიერის მიღებული გამბიტის სქემაში გადაიყვანოს.

**6. ed d5 7. c5**

ეს პრინციპულად არ უნდა იყოს სწორი. ჯობდა 7. a3 კe7 8. მf4.

**7. ... მe4**

უკეთესი ხომ არ იყო 7. ... კ:c3+ 8. მ:c3 b6? ახლა კუშნირი ახერხებს ლაზიერის ფრთაზე ერთის წინააღმდეგ სამი პაიკის მიღებას. ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივ შავები ტემპში თამაშობენ.

**8. კd2 მ:d2 9. ლ:d2 b6 10. a3 კ:c3 11. მ:c3 bc 12. dc a5 13. b3 0—0 14. ეb1 კb7**

უკეთესი ჩანს 14. ... ლe7 ცენტრალური პაიკების წინსვლაზე ფიქრით.

**15. მb5 ლf6 16. მd6**

კუშნირმა თავის მხედარს შესანიშნავი სადგომი მოუჩინა. ეს მხედარი მუდამ შებოჭავს შავების მანევრებს.

**16. ... კa6 17. კ:a6**

საჭირო იყო 17. კe2

**17. ... მ:a6 18. b4 ab 19. ab ლe5+ 20. ლe3**

კუშნირს გამორჩა შავების ტაქტიკური დარტყმა და უპაიკოდ დარჩა. სწორი იყო 20. მფf1.

**20. ... მ:b4 21. ლ:e5 მd3+ 22. მფe2 მ:e5 23. ეhc1**

კუშნირის იმედია c5 პაიკი, რომლის მდგომარეობა შავების მხრიდან ანგარიშგასაწევია. კუშნირმა ამ პაიკის ამოძრავების მუქარაზე ააგო შემდგომი თამაში. ჩემპიონი სასწრაფოდ მიმართავს ზომებს მის უვნებელსაყოფად.

**23. ... ეa6 24. f4 მc6**

საინტერესო შემოწმდეს 24. ... f6. აგრეთვე 24. ... მc4 პაიკის უკან დაბრუნებით და ეტლების ენდშპილში გადასვლით.

**25. ეb6 ეfa8 26. ეcb1 მფf8**

მცდარი გეგმაა. სწორი იყო 26. ... მd8, თეთრ ეტლს რომ არ ჰქონდეს b7-ზე მოსვლის შესაძლებლობა. მერე შეიძლება ცენტრალური პაიკების წინსვლის მომზადებაც.

**27. h3 ეa2+ 28. მფf1 ე8a6**

ნონას ყაიმის მიღწევა შეეძლო მუდმივი ქიშით. 28. ... ეc2 უნდა ეთამაშა მხედრის შეწირვით და მე ეტლის მეორე ჰორიზონტალზე გადაყვანით. ახლა ინიციატივას თეთრები ეუფლებიან.

**29. ეb7 მd8 30. ეd7 ეa8 31. c6**

კუშნირი პაიკს სწირავს და სამაგიეროდ სამ პაიკს იგებს.

**31. ... მ:c6 32. ე:f7+ მფg8 33. ეbb7 ეa1+**

შეცდომა ცაიტნოტში. აუცილებელი იყო 33. ... ე8a7 34. ე:g7+ მფf8 35. ე:h7 ე:b7 36. მd4 აქტიური პოზიციით, რაკი თეთრი მეფე გამოთიშულია ბრძოლიდან. ახლა კუშნირის მეფე ტემპით ებმება თამაშში.

**34. მფf2 ე1a2+ 35. მფg3 ე2a7 36. ე:g7+ მფf8 37. ეgf7+ მფg8 38. ეg7+ მფf8 39. ე:h7 ე:b7 40. ე:b7 ეd8.**

აქ პარტია გადაიდო. კუშნირმა სვლა ჩაიწერა. შავებს ყაიმის მისაღწევად მძიმე ბრძოლა ელით.

თ. გიორგაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

* * *

გუშინ ეს პარტია დამთავრდა. პრეტენდენტმა კარგად გამოიყენა თავისი უპირატესობა და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7,5:6,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

XV პარტია გაიმართება ოთხშაბათს, 21 ივნისს.

## ფოტოქრონიკა

## თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონატზე



მინსკის სპორტის სასახლეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი სამ ხალიჩაზე ჩატარდა. ორი ხალიჩა ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან, ერთი — ცენტრალური ლეიბი კი მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქიდან — მიუნხენიდან. სპორტსმენებს სამივე ხალიჩა ძალიან მოეწონათ.

* * *

სურათზე: ცენტრალური ხალიჩა, რომელზეც ყველა ფინალური შერკინება ჩატარდა.



57 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა თანამემამულეებმა ტ. ალიბეგაშვილმა (თბილისი, „დინამო") და რ. დობორჯგინიძემ (თბილისი, „კოლმეურნე"): ალიბეგაშვილმა ოქროს მედალი დაიმსახურა, დობორჯგინიძემ კი ვერცხლისა.

სურათზე: საპატიო კვარცხლბეკი (მარცხნიდან) — რ. დობორჯგინიძე, ტ. ალიბეგაშვილი და ე. აბდურახმანოვი (ტაშკენტი, „დინამო").



ეს იყო სოხუმელი ვ. მარშანიას („განთიადი") პირველი დიდი გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატებში. 90 კგ წონით კატეგორიაში ახალგაზრდა ოსტატმა ჩამოიტოვა მსოფლიო ექს-ჩემპიონი გ. სტრახოვი (ცსკა), სსრ კავშირის ნაკრების წევრი პ. სურიკოვი (ალმა-ათა, ასკ) და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

სურათზე: მარცხნიდან — პ. სურიკოვი, ვ. მარშანია და გ. სტრახოვი საპატიო კვარცხლბეკზე.

ა. გლინსკის ფოტოები.

## კარგი ტრადიციის სათავე

ამბობენ, უნგრეთში ფარიკაობა იმდენად პოპულარულია, რომ თითქმის ყველა დაწესებულებაშია დანერგილი და სამუშაო დღის შემდეგ ისევე ერთობიან ამ საინტერესო სახეობით, როგორც ჩვენში — მაგიდის ჩოგბურთით.

დიახ, ძალიან სასიხარულო იქნება ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში უნგრელთა დარად რომ შეიყვარონ მუშკეტერთა სპორტი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასე არ არის. მით უფრო სასიხარულოა რუსთავში ამას წინათ გამართული მოფარიკავეთა შეჯიბრება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. ორმაგად სასიამოვნო კი ის იყო, რომ სარბიელზე გამოდიოდნენ წარსულში ცნობილი ოსტატებიც.

მთავარი მოქმედი გმირებიც სწორედ ისინი იყვნენ. დაშნით ფარიკაობაში ყველას აჯობა თბილმშენის № 1 ხის დამმუშავებელი კომბინატის ინჟინერმა, სპორტის ოსტატმა რ. გოშაძემ. ამავე დაწესებულების ინჟინერმა რ. დევიძემ გაიმარჯვა რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობაში. ქალთა შორის პირველი იყო ქუთაისის საფეიქრო კომბინატის სპორტსმენი ნ. გავაშელიშვილი. ხმლით ფარიკაობაში I ადგილი არავის დაუთმო რუსთავის ქიმკომბინატის წარმომადგენელმა ზ. ფაჩულიამ.

როგორც ხედავთ, საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას, რაც უეჭველად ჩვენი მოფარიკავეების მომავალი წარმატებების საფუძველი იქნება.

ა. ზურული.

## იაპონელ მოცურავეთა ოლიმპიური „განაცხადები"

ტოკიო, 20 ივნისი. ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იაპონელები ნ. ტაგუჩი და მ. აოკი ოლიმპიური მედლების პრეტენდენტები არიან ცურვაში. საამისოდ მათ ყველა საფუძველი აქვთ.

ხიროსიმელმა სტუდენტმა, 22 წლის ნობუტაკა ტაგუჩიმ თავისი პრეფექტურის პირველობაში ასპარეზობისას იაპონიის რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასის სტილით — 1.06,0. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში და მოსკოველი ნ. პანკინის მსოფლიო რეკორდს სულ 0,2 წამით ჩამოუვარდება. წინა დღით ტაგუჩიმ 200 მ ბრასით 50-მეტრიან აუზში 2 წუთსა და 26,9 წამში დაფარა, რაც ასევე იაპონიის რეკორდია.

მაიუმი აოკი ოსაკის აუზში ასპარეზობდა. ამ ნიჭიერმა ქალიშვილმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში იაპონიის რეკორდი დაამყარა — 1.4,04 (სულ 0,3 წამით უარესია მსოფლიო რეკორდზე).

ტაგუჩისა და აოკის მწვრთნელები ამბობენ, რომ მიუნხენის ოლიმპიადისთვის მათი შეგირდები საუკეთესო სპორტულ ფორმას მიაღწევენ. მწვრთნელების აზრით, ტაგუჩისა და აოკის უკვე ივლისის დამლევს, იაპონიის ჩემპიონატში შეეძლებათ მსოფლიო რეკორდების დამყარება.

## თემატიკის ქრონიკიდან

### ✦ თერჯოლა

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საშუალო სკოლებს შორის ყველას აჯობეს სოფელ სიქთარვის მოსწავლეებმა. რვაწლიან სკოლებს შორის უძლიერესნი იყვნენ ტყიბულჰესის წარმომადგენლები.

ლ. ქავთარაძე,
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი, სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა



# ხულიგანი დირექტორი

ეს სამარცხვინო ამბავი საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული მძლეოსანთა ტურნირის მესამე დღეს მოხდა. ესტაფეტებში შეჯიბრება ახალი დამთავრებული იყო, როცა აფხაზეთის ნაკრების წარმომადგენელმა, სოხუმის მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორმა ს. ავიძბამ შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილეს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ლ. ჩერნიშოვს ხელჩართული ომი გაუმართა და შუბლი გაუტეხა. ავიძბამ მილიციას თავი სტადიონიდან გაქცევით დააღწია.

რა მოხდა? აფხაზეთის მძლეოსნობის წარმომადგენელთათვის ეს პირველი შემთხვევა როდია. უკადრისი საქციელისთვის შარშან სამართლიანად გააკრიტიკეს 100 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი ა. კოსტინი. ახლა მას ავიძბამ გადააჭარბა კიდეც. სპორტსკოლის დირექტორის უკმაყოფილება ესტაფეტაში წესის დარღვევისათვის აფხაზეთის გუნდის მოხსნამ გამოიწვია.

დირექტორისთვის შეუფერებელი საქციელის გამო ავიძბა დაისაჯა. შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიამ იგი აფხაზეთის მძლეოსანთა გუნდის წარმომადგენლობიდან მოხსნა, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელობამ კი სპარტაკიადას საერთოდ ჩამოაცილა და სათანადო ორგანოების წინაშე დააყენა სპორტსკოლის დირექტორობიდან მისი მოხსნის, საერთოდ, აღმზრდელობითი საქმიანობიდან ჩამოშორების საკითხი.

ავიძბას ჩქნებ ასე ხელაღებით ვერ გაებედა მსაჯის შეურაცხყოფა, ტურნირი ყოველმხრივ კარგად მოწყობილი რომ ყოფილიყო. მსაჯებს, მწვრთნელებსა და წარმომადგენლებს ერთმანეთისგან ვერაფრით გაარჩევდით — არც ერთს განმასხვავებელი ნიშანი არ ჰქონდა. წარმომადგენლებსა და მწვრთნელებს სექტორებში, ბილიკებზე თავისუფლად სიარულს არავინ უშლიდა. ყოველივე ეს, ცხადია, მსაჯების მუშაობას ართულებდა.

დასამალი როდია, რომ ჩვენში მძლეოსანთა ტურნირები რატომღაც ნორმალურად აღარ ტარდება (მასზე რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაშიც დაიწერა). სად გაგონილა, გუნდის წარმომადგენელი (ან მწვრთნელი) მსაჯებს საკუთარ სურვილს უკარნახებდეს და მათს საქმიანობაში ერეოდეს? ასეთ ხალხს თხოვნითა თუ მუქარით ზოგჯერ თავისიც გააქვს ჩვენ ამ ტურნირის დღეებში მსგავსი შემთხვევების მოწმენიც ვიყავით.

ცხადია, როცა მწვრთნელები თავიანთი მუშაობის ნაკლის დაფარვას არბიტრებთან დავით ცდილობენ, მათი მოწაფეების შედეგებიც უხეირო იქნება. ეს ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა და ტურნირის შემდეგ გამართულ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზეც ითქვა. ზოგიერთ გამარჯვებულს ვერ დავემდურებით, მაგრამ პროგრამის 36 სახეობაში (შეჯიბრებაში პირველი და მეორე ჯგუფების 15 კოლექტივი გამოდიოდა) სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა და პირველი თანრიგის ოციოდე შედეგი ბევრი ვერაფერი მოსავალია. განსაკუთრებით ცუდად აქვთ საქმე გოგონებს.

კიევში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საასპარეზოდ მძლეოსანთა 55-კაციანი გუნდი უნდა წავიდეს, ჩვენს კოლექტივს კი ერთი ფავორიტიც არ ჰყავს, რომელიც საკავშირო ტურნირში გამარჯვების პრეტენდენტად შეიძლება ჩაითვალოს.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ ჩვენს მოსწავლეებს რთულ ტექნიკურ სახეობებში მომზადება აკლიათ. არ გვყავს კარგი ბადროს მტყორცნელი ჭაბუკები, ნაკრებს 100 მეტრზე თარჯრბენსა და შუბის ტყორცნაშიც ძალიან უჭირს. მრავალჭიდში პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა: ხუთჭიდელების უმეტესობა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში სიგრძეზე ხტომის დროს ორმოშიც კი ვერ ეშვებოდა.

1954-55 წლებში დაბადებულთაგან არც სიმაღლეზე მხტომელი გოგონები გამოირჩეოდნენ. მათ აჯობეს უფრო პატარებმა — თბილისელებმა ნ. ვლადიმერაშვილმა (165 სმ) და მ. კიკნაველიძემ (160), რომლებიც პირადი პირველობისთვის იბრძოდნენ. გუნდურ ჩათვლაში მებრძოლმა თბილისელმა ზ. კოსტრიკინამ მხოლოდ 145 სმ სიმაღლე დაძლია და... III ადგილი დაიკავა.

პროგრამის ყველა სახეობიდან სარეკორდო შედეგი აჩვენა მარტო ხაშურელმა გოგონამ ნ. ლაბაძემ, რომელიც ამჟამად თბილისში სწავლობს. ლაბაძემ ბადრო 49,40 მეტრზე ტყორცნა, რაც მისსავე გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდს 70 სანტიმეტრით სჯობს. ამ სახეობაში II ადგილიც ხაშურელმა დ. ცერცვაძემ დაისაკუთრა — 37,88. თბილისელი ს. სინცოვა III ადგილზეა — 38,80.

ყველაზე დაბალი შედეგები მაინც 100 მეტრზე თარჯმორბენლებს ჰქონდათ. მართალია, უკონკურსოდ მოასპარეზე თბილისელმა თ. კლდიაშვილმა სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. (14,0), მაგრამ კიევში წამსვლელებს ეს არაფერს შველის. სპარტაკიადის ჩემპიონმა — თბილისელმა ნ. დანილოვამ (16,4) III თანრიგის შედეგსაც ვერ მიაღწია.

მოზარდებს ფიზიკური მომზადებაც არ ჰყოფნით სწორედ ამიტომ იყო, რომ სპარტაკიადის მონაწილენი წინასწარ ტურნირებში უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, ვიდრე ფინალურ შეჯიბრებებში. აი, რამდენიმე მაგალითიც: 100 მეტრზე მორბენალ გოგონათა შორის გამარჯვებულმა ტ. ბელოვამ (აფხაზეთი) წინასწარ გარბენში 12,2 წამი აჩვენა, ჩემპიონობა კი 12,5 წამით მოიპოვა. ჭაბუკთა სპრინტში მეორე და მესამე პრიზიორებმა — თბილისელმა თ. აჯოევმა და მახარაძელმა ბ. მექვაბიშვილმა წინასწარ გარბენში ნაჩვენები შედეგები ფინალში შესაბამისად 0,2 და 0,4 წამით გააუარესეს. 200 და 400 მეტრზე რბენის დროსაც ასე იყო. უფრო მეტიც, 400 მეტრზე რბენის ფინალში მონაწილე 6 ჭაბუკიდან სამმა ფინიშამდე ვერ მიაღწია.

**ო. ბელაშვილი.**

• • •

### ტექნიკური შედეგები

**გოგონები.** რბენა. **100 მ.** ტ. ბელოვა (აფხაზეთი) — 12,5, თ. ლოლაძე (თბილისი) — 12,7, რ. იუნუსბა (აფხაზეთი)—12,8; **200 მ.** ბელოვა — 26,0, ლოლაძე — 26,4, ნ. ბელიაკოვა (რუსთავი) — 26,7; **400 მ.** ი. ლიგა — 1.00.6 თ. მატიცინა (ორივე—თბილისი) — 1.00,8, ს. ნაუმოვა (რუსთავი) — 1.02,1; **800 მ.** ნ. სუდაკოვსკაია (თბილისი) — 2.21,2, მატიცინა — 2.21,4, ლ. ბადრიძე (თბილისი, პირადი) — 2.23,5; **1500 მ.** სუდაკოვსკაია — 5.09,8, ნ. დავიდენკო (თბილისი)— 5.21,8, დ. ბერიძე (წულუკიძე, პირადი) — 5.41,0. **სიგრძეზე ხტომა.** იუნუსბა — 574, ო. ხუბუტია (აფხაზეთი) — 552, ე. ივანოვა (თბილისი) — 542. **ბირთვის კვრა.** ლ. კოვალიოვა — 12,88, მ. სივაკიანი (ორივე — თბილისი) — 12,30, ლაბაძე — 12,08. **შუბის ტყორცნა.** ნ. სოსნოვიკოვა (აფხაზეთი) — 40.14, ზ. გრიგორიანი (თბილისი, პირადი) — 39,90, ტ. შტუკატუროვა (აჭარა) — 39,38. **ხუთჭიდი.** ვ. მინაკოვა (თბილისი) — 3839, ე. პიტენკო (აფხაზეთი) — 3678, ი. ყარდავა (აჭარა) — 3411. **ესტაფეტები. 4×100 მ.** თბილისი — 50,7, ქუთაისი — 54,6, სამხრეთ ოსეთი — 55,5; **4×400 მ.** თბილისი—4.03,2, აფხაზეთი — 4.11,6.

**ჭაბუკები.** რბენა. **100 მ.** დ. მელაძე — 10,8, თ. აჯოევი (ორივე — თბილისი) — 11,2 ბ. მექვაბიშვილი (მახარაძე) — 11,4; **200 მ.** მელაძე — 22,1, ვ. კოზელსკი (ქუთაისი) — 22,6, აჯოევი — 22,8; **400 მ.** ი. ზენინი (ქუთაისი) — 52,4, გ. კოღუაშვილი (თბილისი) — 53,0, ბ. გაბუნია (ფოთი) — 53,8; **800 მ.** ვ. პოგოჟევი (აფხაზეთი) — 1.59,5, გ. აბზიანიძე (ქუთაისი) — 2.01,7, ვ. მელაშვილი (თბილისი) — 2.02,4; **1500 მ.** პოგოჟევი — 4.09,9, ვ. სეხპოსოვი (თბილისი) — 4.10,3, ბ. ბიკადირი (აფხაზეთი) — 4.13,9; **3000 მ.** ი. არჯევანიძე (თბილისი) — 9.12,8, ბიკადირი — 9.30,8, რ. მუსელიანი (ლენტეხი) — 10.19,8; **5000 მ.** ს. ხაჩატურიანი (ახალციხე, პირადი) — 16.50,6, გ. ჩირგაძე (წულუკიძე) — 17.55,6, გ. ბაღდასარიანი (ახალციხე) — 19.01,4. **2000 მ წინაღობებით.** არჯევანიძე—6.03,7, სეხპოსოვი — 6.35,2, გ. ხუფაცარია (თბილისი, უკონკურსოდ) — 6.16,7. **თარჯრბენი. 110 მ.** პ. ვეშაგურიძე (ახმეტა) — 15,3, ლ. ბოლქვაძე (მახარაძე) — 16,3, გ. შუბინი (თბილისი) — 16,9; **400 მ.** ზენინი — 57,8, ე. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 58,8, ბ. ქორიაული (თბილისი, პირადი) — 1.00,4. **სიგრძეზე ხტომა.** ბოლქვაძე — 684, გ. კუნჩინი (თბილისი) — 680, ჩოგოვაძე—671. **სიმაღლეზე ხტომა.** ა. კუზინი (ფოთი) — 190, ვ. მოზგოვოი (თბილისი, პირადი) — 180, შუბინი — 180. **სამხტომი.** მ. ჩარაევი (სამხრეთ ოსეთი) — 14,24, ზ. თვალავაძე (ქუთაისი) — 14,21, რ. გასპარიანი (თბილისი, პირადი) — 14,06. **ჭოკით ხტომა.** ა. მარავსკი—425, გ. კალანიდი — 390, ლ. არინინი (ყველა — თბილისი) — 350. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ქებაძე (სამხრეთ ოსეთი) — 44,42, ნ. კესაშვილი (ხაშური) — 39,08, თ. დიღმელაშვილი (თბილისი, პირადი) — 35,10. **შუბის ტყორცნა.** ვ. ხუციანიძე (დუშეთი) — 57,60, ტ. ზასეევი (სამხრეთ ოსეთი) — 55,74, ა. მიკოიზიანი (აჭარა) — 55,42. **უროს ტყორცნა.** შ. აგიშევი — 54.00, გ. ელიაშვილი (ორივე — თბილისი) — 51,96, რ. ფუხაევი (გარდაბანი) — 49,70. **ბირთვის კვრა.** კესაშვილი—14,82, ზასეევი — 12,64, რ. ბენიაშვილი (თბილისი) — 12,28. **10 კმ ზე სპორტული სიარული.** დ. შაბურიშვილი (თბილისი) — 52.30,2, ფ. სხირტლაძე — 54.40,0, გ. პეიშვილი (ორივე — თბილისი, პირადი) — 55.55,4. **ათჭიდი.** ტ. ორდენიძე (ონი) — 6269, თ. პატიაშვილი (მახარაძე) — 6160, ნ. ჩირკოვი (აჭარა) — 5811. **ესტაფეტები. 4×100 მ.** თბილისი — 43,5, ქუთაისი — 44,5, აფხაზეთი — 44,9; **4×400 მ.** აფხაზეთი — 3.31,6, ქუთაისი — 3.32,6, აჭარა—3.35,8.

**გუნდური პირველობა. პირველი ჯგუფი.** თბილისი — 37361, აფხაზეთი — 23114, ქუთაისი — 17876. **მეორე ჯგუფი.** მახარაძე — 8923, ფოთი — 7134, ონი — 6269.

• • •



სურათზე: ნ. ლაბაძე ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

## ტურიზმი — ჯანმრთელობისა და მხნეობის წყარო



გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად აწყობენ სამთო-ტურისტულ ლაშქრობებს მდინარე წაჩხურის სათავეზე, ასცხის გამოქვაბულებში და სხვაგან. ამ დღეებში ხირზენის მიდამოებში მოეწყო ლაშქრობა, რომელშიც 80 მოსწავლე მონაწილეობდა.

ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. პატარაია.

ლონისძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

• • •

სურათებზე: ლაშქრობის მომენტები.

გ. ჭაყელის ტექსტი და ფოტო.



## [illegible]-72

● **კიევი,** 19 ივნისი. მთავრდება თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის წარმომადგენლები. ბოლო სახეობის (4 კმ-ზე მძლეოსნური კროსი) წინ ლიდერობს მექსიკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მოსკოველი პ. ლედნიოვი, რომელმაც ოთხ სახეობაში 4176 ქულა მოაგროვა. მას სულ 17 ქულით ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონი, კიეველი ბ. ონიშჩენკო. III ადგილზეა ახევე საბჭოთა სპორტსმენი, უკრაინელი ვეტერანი გ ფროლენკო. 3951 ქულით IV ადგილზეა სახელგანთქმული უნგრელი ხუთჭიდელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალცო.

● **შტუტგარტი,** 19 ივნისი. ამ დასავლეთგერმანული ქალაქის ქუჩებში გამართულ საერთაშორისო ველორბოლაში პირველი ხუთი ადგილი სსრ კავშირის დინამოელებმა დაიკავეს. 75-კილომეტრიანი კრიტერიუმი ყველაზე სწრაფად განვლო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ი. კრავჩენკომ — 1:26.26. საშუალედო და ძირითად ფინიშებზე მან 26 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან: ა. ონეგოვი — 23 ქულა, ე. სმეტანინი (ორივე — მოსკოვი) — 22, ა. ზახაროვი (სოჭი), ა სტარკოვი (ხარკოვი) — 21-21. VI ადგილი დაიკავა ვ.-კ. ხენცმა (გფრ) — 10 ქულა.

● **ფორსტი, 19 ივნისი.** გდრ-ის ამ ქალაქის ძველ, 400-მეტრიან ტრეკზე (აშენებულია 1906 წელს) სსრ კავშირის ველოსიპედისტთა გამარჯვებით დამთავრდა მათი მატჩი მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან. სპრინტში თავი გამოიჩინა კუიბიშეველმა ვ. ტრიფონოვმა, რომელმაც ფინალში კიშინიოველ ა. იაბლუნოვსკის აჯობა. III ადგილზეა აიჰშტედტი (გდრ). გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა მოიგო მინსკელმა ვ ნაზარენკომ — 5.12,7, ხოლო გუნდური — სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა (მინსკელი ვ. ბიკოვი, მოსკოველი ვ. კუზნეცოვი, ტაშკენტელი ა. იუდინი, კიშინიოველი ა. ხრისტენოკი) — 4.36,8. 1000 მეტრზე გიტში საუკეთესო იყო შეცე (გდრ) — 1.09,5. II ადგილი დაიკავა იაბლუნოვსკიმ — 1.10,5.

● **ბერლინი,** 19 ივნისი. ბერლინის გარეუბან გრიუნაუში მდებარე ლანგერზეეს ტბაზე ორ დღეს მიმდინარეობდა უძლიერესი ნიჩბოსნების საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება. ამ ტრადიციულ რეგატაში, რომელიც ისევე პოპულარულია, როგორც ჰენლეისა და ლიუცერნის რეგატები, 1140 ნიჩბოსანი გამოვიდა. მათი უმრავლესობისთვის გრიუნაუს სტარტები ქალთა წინაოლიმპიურ შემოწმებად იქცა. კვლავ დაამტკიცა მაღალი კლასი დრეზდენის უმესაჭო ოთხადგილიანმა (პირველი მენიჩბე ფ. ფორბერგერი), რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია არ დამარცხებულა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ამ ეკიპაჟის დრო 6.45,03 (II ადგილზე გავიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის ნავი — 6.49,35, ხოლო III — ასევე სსრ კავშირის წარმომადგენელი, მოსკოვის „სპარტაკის" გუნდი — 6.52,54). საბჭოთა სპორტსმენები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ერთადგილიანებით ასპარეზობაში. ი. მალიშევმა ორჯერ მოიგო I ადგილი (პირველ დღეს — 7.45,79, მეორე დღეს — 7.33,01), ხოლო მოსკოვის „ტრუდის" წარმომადგენელმა, 19 წლის ე. ანტონოვამ პირველ სერიაში ევროპის ჩემპიონი ა. კულკე (გდრ) დაამარცხა, მეორე რბოლაში კი ოდნავ ჩამორჩა მას. აი, ამ ნიჩბოსანი ქალების ბრძოლის შედეგები: პირველ დღეს — ანტონოვა — 4.18,23, კულკე — 4.20,93; მეორე დღეს — კულკე — 4.01,64, ანტონოვა — 4.02,93. შეჯიბრებაში გდრ-ის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კუბის, ფინეთის, დანიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

## [illegible]-72

მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ

# სპასკი — ფიშერი



მილიონობით ადამიანს კვლავ აღელვებს საკითხი, ვინ დაიკავებს ყველაზე ღირსეულ ადგილს საჭადრაკო ოლიმპზე. 2 ივლისს რეიკიავიკში საჭადრაკო დაფას მიუსხდებიან მსოფლიო ჩემპიონი ბორის სპასკი (სსრ კავშირი) და ამ მაღალი წოდების დაუფლების პრეტენდენტი რობერტ ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები).

თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ: ვ. სტეინიცი (1836-1900), ე. ლასკერი (1868-1941), ხ.-რ. კაპაბლანკა (1888-1942), ა. ალიოხინი (1892-1946) და მ. ეივე. 1948 წლიდან, როცა ეს წოდება მოიპოვა მ. ბოტვინიკმა, საჭადრაკო ტახტზე მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეები არიან და მთავარი პრეტენდენტებიც მხოლოდ ისინი იყვნენ.

გადიოდა წლები და ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (ფიდე) დაფნის გვირგვინით ამკობდა ვ. სმისლოვს, მ. ტალს, ტ. პეტროსიანსა და ბ. სპასკის. მოგაგონებთ, რომ მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა დაძაბულ ბრძოლებში დაამარცხა პ. კერესი, მ. ტალი, ვ. კორჩნოი, ბ. ლარსენი (დანია), ორჯერ — ე. გელერი, ტ. პეტროსიანი.

ეივემ მახვილგონივრულად დაარქვა სპასკის წარმატებას გადამწყვეტ მატჩში პეტროსიანთან (1969 წ.) „ლომის გამარჯვება ვეფხვთან". ბოტვინიკმა ლენინგრადელ დიდოსტატს „ჩვენი დღეების უძლიერესი მოჭადრაკე-პრაქტიკოსი" უწოდა.

60-ანი წლების დამდეგს მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე 18 წლის ამერიკელი დიდოსტატის ფიშერის გამოჩენამ, რომლის იშვიათი ნიჭიერება ეჭვს არ იწვევდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ საზღვარგარეთ, ნაცვლად იმისა, რომ ობიექტურად შეეფასებინათ ფიშერის შემოქმედება და წარმატებები, აჟიოტაჟი ატეხეს მისი სახელის გარშემო. ეს მოდიოდა იმ დილეტანტური წრეებიდან, რომლებიც ვერაფრით შეეგუენ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის საყოველთაო ავტორიტეტს. ერთმა კორესპონდენტმა იჩქარა ინტერვიუ აეღო ამერიკის შეერთებული შტატების ჭაბუკი ჩემპიონისგან და ფიშერმა სათითაოდ გამოიწვია ყველა მოწინავე მოჭადრაკე.

ჩემი აზრით, სწორედ ამ გარემოებებმა უარყოფითად იმოქმედეს ფიშერზე და წარმოშვეს მასში ვიწრო ეგოცენტრიზმი, რომელმაც თანდათან გადააქცია იგი „მოწყენილ, ჯიუტ, ფიცხ და თავის თავში ჩაკეტილ ადამიანად" (ასე ახასიათებენ მას დასავლეთელი ჟურნალისტები). რა თქმა უნდა, მისი ტალანტის თაყვანისმცემლები სათანადოს მიუზღავენ 29 წლის უცოლშვილო ახალგაზრდას, რომელმაც ათი წლის მანძილზე მთელი ძალა ერთ გატაცებას — ჭადრაკს დაუმორჩილა. ჭადრაკისთვის გასწირა მან თავი და უმაღლესი განათლებაც კი ვერ მიიღო, რომელიც ასე ბუნებრივია დიდ მოჭადრაკეთა ბიოგრაფიებში.

გვერდზე გადავდოთ ფიშერის ფინანსური მოთხოვნები და სხვა უადგილო პრეტენზიები, რამაც კინაღამ ჩაფუშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე. შევეცდებით ყურადღებით ჩავუღრმავდეთ ამერიკელი დიდოსტატის წარმატებებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემპიონის წოდების პრეტენდენტს შემთხვევით მიეღწიოს ოლიმპის მისადგომებამდე.

ახალგაზრდა ბრუკლინელი დიდოსტატის პირველი სერიოზული დებიუტი გახლდათ პრეტენდენტთა ტურნირი კიურასაოზე (1962 წ.), სადაც მან IV ადგილი დაიკავა პეტროსიანის, კერესისა და გელერის შემდეგ. შემდგომში ფიშერი ტუნისის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილე იყო (1967 წ.), მაგრამ ეს ტურნირი არ დაამთავრა, თუმცა პრაქტიკულად I ადგილი განაღდებული ჰქონდა. 1970 წლის მარტამდე ფიშერი საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მისი ვარსკვლავი თანდათან ქრებოდა.

მაგრამ „საუკუნის მატჩმა" ბელგრადში, ეფექტურმა გამარჯვებამ პალმა-დე-მალიორკის საზონათაშორისო ტურნირში, პირველმა პრიზებმა ზაგრებსა და ბუენოს-აირესში კვლავ ასწია ფიშერის პრესტიჟი. და ბოლოს, სამი ფენომენალური სპორტული შედეგი შარშან მ. ტაიმანოვთან, ბ. ლარსენთან და ტ. პეტროსიანთან მატჩებში, სადაც ფიშერმა 21 შესაძლებლიდან 18,5 ქულა დააგროვა.

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ფიშერმა ტურნირებში 8 პირველი პრიზი მოიხვეჭა, საერთო ჯამში ითამაშა 120 პარტია (მათ შორის, 72 — დიდოსტატებთან) და 101 ქულა დააგროვა.

სხვებზე უწინ ფიშერის აღზევება სპასკიმ იწინასწარმეტყველა. ჯერ კიდევ 1969 წელს განაცხადა, რომ შემდეგი პრეტენდენტი ჩემპიონთან მატჩისა შესაძლოა მისი თანამემამულე არ იქნეს. სპასკიმ პრესაში ხოტბა შეასხა ფიშერის ოსტატობას და ტექნიკას.

## ფარდის ახდამდე

... ახლა კი ზოგიერთი სპორტული და შემოქმედებითი პერსპექტივის შესახებ ორი შესანიშნავი მოჭადრაკის მატჩის წინ. ისინი ხომ შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში არიან.

ვეხები რა ორივე მეტოქის თამაშის სტილს, ვიტყვი, რომ 35 წლის სპასკის ოსტატობა უფრო ახლოა ალიოხინის შემოქმედებასთან, ვიდრე საბჭოთა სკოლის სხვა წარმომადგენლებთან. ლენინგრადელი დიდოსტატი ყველაზე უნივერსალურ და მრავალმხრივ მოჭადრაკეებს მიეკუთვნება. ტალი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მან ვერ აღმოაჩინა სპასკის საყვარელი პოზიციები. იგი ლამაზად, ელეგანტურად ატარებს იერიშს, კარგად ახორციელებს პოზიციურ შებოჭვას და, ამასთან, სპორტული თვალსაზრისით მედგარი მებრძოლია.

დებიუტში სპასკიმ იცის ულტრაათანამედროვე გაგრძელებების საიდუმლოებებში წვდომა. მაგრამ, როგორც მკვლევარი, იგი ჩამორჩება ალიოხინს, ბოტვინიკსა და ზოგიერთ თეორეტიკოსს. თუმცა, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონს ეს არ აშფოთებს, ვინაიდან მთელ რიგ პარტიებში იგი გვევლინება არა როგორც თეორიული, კარგად დამუშავებული ვარიანტების მიმდევარი, არამედ მათი მკაცრი უარმყოფელიც.

სპასკი თეთრებით თამაშობს ბევრ ღია და დახურულ დებიუტს — მეფის გამბიტიდან დაწყებული, ლასკერის დებიუტით დამთავრებული, შავებით კი — საიმედოდ ექსპერიმენტულ სისტემებს. მდიდარი ინტუიცია მას საშუალებას აძლევს რთულ, დახლართულ ბრძოლაში გააკეთოს მწვავე ტაქტიკური სვლები, როგორც ეს მოხდა ფიშერთან მის ბოლო შეხვედრაში ზიგენში (1970 წ.). იქ სპასკიმ დამარცხდა.

ამერიკელი დიდოსტატის სტრატეგიული კონცეფციები სულ სხვა გვარია. გეგმის პრაქტიკულობა და სიცხადე, ცივი, თავისებურად ჰარმონიული რაციონალიზმი — ასე შეიძლება ფიშერის უზადო პოზიციური აზროვნების თავისებურებები. პოზიციის შეფასების სისწრაფე და ვარიანტების ზუსტი გამოთვლა მისი მთავარი იარაღია.

კაპაბლანკას მსგავსად, იგი ქმნის მარტივ და ღია პოზიციებს მანევრირებისთვის. როცა თეთრებით თამაშობს, ამჯობინებს e2-e4 სვლას და, უპირველეს ყოვლისა, კლასიკურ ესპანურ პარტიას, რომელიც მას მთელი სიგრძე-სიგანით შეუსწავლია. ამ პარტიის ზოგიერთ სისტემაში მას აბსოლუტური გაგება აქვს.

მეორე მხრივ, დაუშრეტელი ენერგიის მქონე ფიშერი, არჩეული დებიუტის მიუხედავად, ყოველ პარტიას უკანასკნელ შესაძლებლობამდე თამაშობს. თუ დამარცხების საშიშროება არ წარმოიშვა, იგი სრულიად უგულებელყოფს აზრს ყაიმზე. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა ძლიერ დარტყმას აყენებს იმ დიდოსტატებს, რომლებიც მყუდრო ნავსაყუდელს ეძებენ თამაშის დაწყებიდან თითქმის ნახევარი საათის შემდეგ. ცაიტნოტების უქონლობა კი ფიშერს საშუალებას აძლევს მეხუთე საათზეც ითამაშოს თითქმის შეუცდომლად, მეტოქის მცირეოდენი შეცდომის გამოყენების საოცარი უნარით. ენდშპილში ახალგაზრდა დიდოსტატის აზროვნება ავტომატის მუშაობას გვაგონებს.

როგორც ჩანს, ფიშერის შემოქმედებაში „აქილევსის ქუსლად" რჩება ბრძოლის ფსიქოლოგიური და ემოციური მხარე. იმატა კი ამ მიმართულებით მისმა იმუნიტეტმა? ფაქტად რჩება, რომ წარმატებით დამთავრებულ ორთაბრძოლაში პეტროსიანთან (1971 წ. ბუენოს-აირესი), საბჭოთა დიდოსტატის მიერ მეორე პარტიაში შესანიშნავად წარმართულმა შეტევამ ისე ძლიერად იმოქმედა ფიშერზე, რომ მომდევნო სამ პარტიაში მას ვეღარ იცნობდით.

სანამ ფარდა არ გახსნილა, შეუძლებელია არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ რეიკიავიკის ორთაბრძოლაში, ჭადრაკის ისტორიაში ამ ურთულეს და ეპოქალურ მატჩში, ორივე მეტოქის შანსები დაახლოებით თანაბარია. არსებითი მნიშვნელობა ექნება შემდეგ ფაქტორს: თავდაპირველად ვინ იგდებს ხელთ ინიციატივას მატჩის პირველ მეოთხედში — სპასკი თუ ფიშერი...

**ი. როხლინი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



[illegible] მოგვითხრობს

როგორც ვიუწყებოდით, 16 ივნისს, რიგის სპორტის სასახლეში გაიმართა ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩისადმი მიძღვნილი დიდი საჭადრაკო ზეიმი. პროგრამაში შედიოდა დიდოსტატების მ. ტალისა და ს. ფლორის დისპუტი თემაზე „სპასკი — ფიშერის მატჩი". გთავაზობთ ამ დისპუტიდან რამდენიმე შეკითხვას და პასუხს. **თ. გიორგაძე.**

## ტალისა და ფლორის აზრით

● დაიწყება თუ არა მატჩი 2 ივლისს რეიკიავიკში, როგორც ეს ფიდემ გადაწყვიტა?

ფლორი: აუცილებლად. უარის თქმა ფიშერს აღარ შეუძლია. შესაძლოა პრეტენდენტის უფლება ჩამოართვან.

ტალი: უნდა დაიწყოს, მაგრამ ფიშერს არ უყვარს, როცა თავისი ვერ გააქვს. ალბათ გახსოვთ, რომ რეიკიავიკი და 2 ივლისი სპასკის წინადადებაა. ამიტომ შეიძლება ფიშერი „ავად" გახდეს და მატჩის სტარტი რამდენიმე დღით გადაატანინოს.

● როგორია მატჩის საპრიზო ფონდი?

ფლორი: საკმაოდ დიდი — 125 ათასი დოლარი. 68 პროცენტი გამარჯვებულს მიეცემა, დანარჩენი — დამარცხებულს. მინდა ვთქვა, რომ ეს ფული მეტია, ვიდრე ერთად მიღებული აქვთ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების აღსანიშნავად ბოტვინიკს, სმისლოვს, ტალს, პეტროსიანსა და სპასკის.

ტალი: ჩემს დროს ჩემპიონს ყველაზე პატარა გასამრჯელო ეძლეოდა.

● ამბობენ, ფიშერი ჰიპნოზს უკეთებს თავის მეტოქეებს?

ფლორი: ჭადრაკის ისტორიაში ყველა დიდ მოჭადრაკეს, ვინც კარგად იგებდა, ჰიპნოზის უნარს მიაწერდნენ. ბოლო „ჰიპნოტიზიორი" ტალი გახლდათ. ახლა კი, ხომ ხედავთ, ფიშერი გამოაცხადეს.

ტალი: ფიშერს მართლა აქვს ჰიპნოზის უნარი. დიახ, ეს მისი თამაშის ძალა გახლავთ. თუ თავის მარწუხებში მოგაქცია, მონუსხულივით თამაშობ. გაიხსენეთ, რა უყო ტაიმანოვსა და ლარსენს.

● ვინ ითამაშა უკეთესად, ტაიმანოვმა თუ ლარსენმა?

ტალი: კარგი შეკითხვაა. ჩემი აზრით, ტაიმანოვმა. თვით ფიშერის აზრით, მათი მატჩი უნდა დამთავრებულიყო ანგარიშით 3,5:2,5, ლარსენმა უფრო მეტი შეცდომა დაუშვა. საერთოდ, ლარსენი ან ძალიან კარგად თამაშობს, ან ულმერთოდ ცუდად.

● მატჩის თაობაზე სპასკისა და ფიშერს მოლაპარაკება თუ ჰქონდათ?

ტალი: რამდენადაც ვიცი, არა. მაგრამ ფიშერმა 30 იანვარს სპასკის დაბადების დღე მიულოცა, სპასკიმ 9 მარტს „სამაგიერო გადაუხადა".

● ვის როგორი შანსი აქვს გამარჯვებისა?

ფლორი: ჩემი აზრით, შანსები თანაბარია.

ტალი: სპასკი და ფიშერი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ორივე მაღალია, სპორტული აგებულების, ქერა, მტკიცე ხასიათისა და ჭადრაკის ფანატიკურად მოყვარული. მეტოქენი განსხვავდებიან თამაშის სტილით. სპასკი უნივერსალია, ფიშერი უფრო დახვეწილი მოთამაშე. მას რთული პოზიციის გამარტივების საოცარი უნარი აქვს. ვფიქრობ, სპასკის უფრო შეუძლია გამოიჩინოს თავი, ვიდრე პეტროსიანმა შეძლო.

● როგორი იქნება მეტოქეთა სადებიუტო რეპერტუარი?

ტალი: ჩემი აზრით, ფიშერი იმავე დებიუტებს ითამაშებს, რასაც აქამდე იყენებდა.

ფლორი: ფიშერი თავის წიგნში წერს, რომ პირველ სვლაზე e2-e4-ს არასოდეს უღალატებს. ამას ფიშერი კარგად თამაშობს და ღრმადაც იცის. სპასკი ალბათ ამერიკელი მოჭადრაკის უკვე ცნობილი სადებიუტო რეპერტუარის წინააღმდეგ მოემზადება.

● ვინ ამზადებდა სპასკის?

ფლორი: მწვრთნელთა ბრიგადა: სეკუნდანტი გელერი, ფსიქოლოგი კროგიუსი და დებიუტების თეორიაში — ნეი. სამივე ცნობილი მოჭადრაკეა.

ტალი: ამ ბრიგადას სხვა ცნობილი დიდოსტატებიც ეხმარებოდნენ, მაგალითად, დიდოსტატი კერესი.

● ფიშერის მომზადებაზე რა იცით?

ტალი: მხოლოდ ის, რომ გამუდმებით კითხულობდა სპასკის პარტიების კრებულს, დასავლეთ გერმანიაში რომ არის გამოცემული. ამ წიგნს არც სადილობისას იცილებდა. ვიცით ისიც, რომ პეტროსიანთან მატჩის მერე ფიშერს არც ერთ ტურნირში არ უთამაშია.

● ამბობენ, ფიშერი აუტანელიაო.

ტალი: გააჩნია, ვინ ლაპარაკობს. დიდოსტატები მის ძვირს ვერ იტყვიან. მათდამი კეთილად არის განწყობილი. ჟურნალისტებმა, რომელთაც ის არ იკარებს, ცუდი კაცის სახელი დაუგდეს. ფიშერი, მართალია, კარჩაკეტილია, მაგრამ არავის აწუხებს. უყვარს ცურვა, მუსიკა და... რძე. დღეში, მგონი, სამ ლიტრამდე რძეს სვამს.

ფლორი: ფიშერს ტურნირის დროს თავი თავაზიანად უჭირავს. თუ ხასიათზეა, მხიარულიცაა. მაგრამ სერიოზული ბრძოლის დროს არ უყვარს გამოთიშვა და ამ დროს ზოგიერთს უჟმური ეჩვენება.

● რამდენჯერ შეხვედრიხართ ფიშერს და როგორია თქვენი შეხვედრების ანგარიში (შეკითხვა — ტალს)?

ტალი: ფიშერს პირველად 1958 წელს პორტოროჟში შევხვდი, პარტია ყაიმით დავამთავრეთ. მაშინ ბობი 15 წლისა იყო და ცოტა ყოყლოჩინობდა. მერე კიდევ ათი პარტია ვითამაშეთ. მე ოთხი მოვიგე, ორი წავაგე და ოთხიც ყაიმით დავამთავრეთ. შემდგომში ფიშერმა უფრო ძლიერად დაიწყო თამაში და ანგარიშიც გამისწორა, თუმცა, როგორც ვთქვი, ვალი კიდევ აქვს.

● ვინ უფრო დიდი მოჭადრაკეა, სპასკი თუ პეტროსიანი?

ტალი: ეს იმას ჰგავს, რომ იკითხოთ: ვინ უფრო დიდი კომპოზიტორია, მოცარტი თუ ბეთჰოვენი? სპასკი და პეტროსიანი დიდი შემოქმედნი არიან. დღეს სპასკია ჩემპიონი, უწინ პეტროსიანი იყო. მათ თავიანთი საკუთარი ხელწერა, საკუთარი მრწამსი აქვთ და ჭადრაკის ისტორიაში ორივეს წვლილი საკმაოდ შესამჩნევია.

● ვინ იქნება ფიშერის სეკუნდანტი?

ფლორი: ჯერ არ ვიცით. უცხოურ პრესაში გამოჩნდა ცნობა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო ფიშერს ოთხ მეზღვაურს ატანს, რათა იგი გულშემატკივრებისგან დაიცვან. ეს ხუმრობას ჰგავს, მაგრამ გულშემატკივრებისგან დაცვა მაინც საჭირო იქნება.

● ფიშერის რელიგიური მოსაზრებების გამო შაბათი დასვენების დღედ რომ გამოაცხადეს, განა ეს სპასკის „დაჩაგვრა" არ არის?

ტალი: არა. კვირაში ერთი დასვენების დღეა და სულ ერთია, რომელიც იქნება. შაბათს ხომ ჩვენც ვისვენებთ! სხვათა შორის, 1962 წლამდე ფიშერი ათეისტი გახლდათ. მერე ადვენტისტების სექტის მოძღვრება იწამა. ეს ქრისტიანული სექტაა და შაბათს უქმობს.

● გაზეთებში გამოცხადდა, რომ 21 ივნისს სპასკი და მისი მწვრთნელები რეიკიავიკს მიემგზავრებიან. ფიშერი როდის ჩავა ისლანდიაში?

ტალი: სპასკი სწორად იქცევა. საჭიროა აკლიმატიზაცია. ალბათ ფიშერიც ამ დღეებში ჩაფრინდება.

● როგორი იქნება სპორტული ბრძოლა მატჩში?

ფლორი: მერწმუნეთ, ძალიან „მხიარული".

ტალი: ისეთი, რომ ბევრს ძილს დაუფრთხობს.







# მეგობარი თანაგუნდელები

ეს სურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა თბილისში 1971 წლის შემოდგომით გადაიღო, სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატის დროს. ამ ფოტოებზე თ. კაკულიასა და თ. ლეიუსის ნახევარფინალური მატჩის გაუთვალისწინებელი შესვენების მომენტებია აღბეჭდილი. კაკულია ასეთ დროს გულდასმით ისმენდა თავისი მეგობრის ა. მეტრეველის რჩევა-დარიგებას. მაშინ მან ერთეულთა თანრიგში III ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ მეტრეველი და ლეიუსი გაუშვა. ტურნირში კაკულიამ ძლიერი და დახვეწილი თამაშით მოხიბლა მაყურებელი, თუმცა სსრ კავშირის ნაკრებში მაინც არ შეიყვანეს.

ახლა მოვიგონოთ თბილისში დევისის თასის გათამაშების მატჩი სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც იცით, კაკულია ნაკრების რიგებში არ იყო. ამ მატჩის მერე თბილისში საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი გაიმართა და კაკულიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მეტრეველის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესოა სსრ კავშირში. მაშინ მან საბჭოთა ნაკრების წევრებს ს. ლიხაჩოვს, ვ. კოროტკოვს და თ. ლეიუსს მოუგო და მხოლოდ მეტრეველთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. კაკულია კვლავ არ შეიყვანეს ნაკრებში და საბჭოთა გუნდმა კვლავ უმისოდ ითამაშა მაროკოს ნაკრებთან. ამ დროს კაკულია საფრანგეთში იყო და პარიზში „როლან გაროს" კორტებზე საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ევროპის რამდენიმე ძლიერ ჩოგბურთელს დააყრევინა ფარ-ხმალი.

ამასობაში მოახლოვდა პოლონელებთან დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრის დროც და კაკულიამ ნაკრებში ლეიუსი შეცვალა. უფრო მეტიც, კოროტკოვის ნაცვლად ნაკრების ღირსების დაცვა მას მიენდო. ვარშავაში საბჭოთა ნაკრებს პირველი ქულა სწორედ კაკულიამ მოუტანა. გაგახსენებთ, მან დაამარცხა პოლონეთის პირველი ჩოგანი ვ. გონშორეკი.

მაშ ასე, საბჭოთა ნაკრების ოთხი წევრიდან ამჟამად ორი თბილისელია. თანაც, მეტრეველი „პირველ ვიოლინოზე უკრავს", კაკულია კი მეორეზე. კიდევ მეტ ოსტატობას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ერთსაც და მეორესაც.

ჯ. ენუქიძე.

# „ყველა ვარსკვლავი"

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, რომელიც კანადისა და აშშ-ს უძლიერეს პროფესიულ კლუბებს აერთიანებს, სეზონის დამთავრების შემდეგ გამოაქვეყნა საუკეთესო მოთამაშეთა სია. „ყველა ვარსკვლავის" პირველ ექვსეულში შევიდნენ: მეკარე ტ. ესპოზიტო („ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი"), მცველები ორი („ბოსტონ ბრიუინზი") და პარკი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"), თავდამსხმელები ჟილბერი („ნიუ-იორკ რეინჯერსი"), ფ. ესპოზიტო („ბოსტონ ბრიუინზი") და ჰალი („ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი"). მეორე „ცვლაში" არიან: მეკარე დრაიდენი („მონრეალ კანადიენსი"), მცველები უაიტი და სტეპლტონი (ორივე — „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი"), თავდამსხმელები კორნუაიე („მონრეალ კანადიენსი"), რატელი და ჰედფილდი (ორივე — „ნიუ-იორკ რეინჯერსი").

პროფესიული ჰოკეის ვარსკვლავთა სია კანადაში წლეულს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სექტემბრისთვის დანიშნული კანადისა და საბჭოთა გუნდების მატჩების სერიასთან დაკავშირებით, სადაც ორივე ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები გამოვლენ. შეიძლება სწორედ ნჰლ-ის ლაურეატებმა შეადგინონ სექტემბრის ამ თამაშებში კანადის ნაკრების ბირთვი.

საყოველთაო აზრით, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები არიან ორი, ფ. ესპოზიტო და ჰალი.

„ბოსტონ ბრიუინზის" 24 წლის მცველი ორი ამჟამად უდავოდ ნჰლ-ის უძლიერესი ჰოკეისტია. იგი ჩინებულად თამაშობს მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, მუდამ დაცვაშია, როცა გუნდს მოთამაშე აკლია, შეტევებს ხელმძღვანელობს, როცა ბოსტონელებს რიცხობრივი უპირატესობა აქვთ. ზედიზედ ორი წელია ეს მცველი მეორე ადგილს იკავებს... ბომბარდირთა შეჯიბრებაში. ორი ზედიზედ მეხუთე წელია შედის ვარსკვლავთა პირველ ექვსეულში, გასულ სეზონში კი ყველა ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა — „ნჰლ-ის საუკეთესო მოთამაშე", „სტენლის თასზე მატჩების საუკეთესო მოთამაშე" და „ლიგის საუკეთესო მცველი".

ორის თანაკლუბელი ფ. ესპოზიტო (სხვათა შორის, მისი ძმა ტონი საუკეთესო გოლკიპერადაა აღიარებული) ამერიკისა და კანადის მოედნებზე ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტია.

მეათედაა შეყვანილი საუკეთესო პროფესიონალების პირველ ექვსეულში ბ. ჰალი, რომელმაც წლეულს გადააბიჯა 400-შაიბიან ზღვარს (ეს შაიბები მან ნჰლ-ის ჩემპიონატებში გაიტანა) — მას ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილი უკავია გ. ჰოუს შემდეგ, რომელმაც სულ ახლახან დაანება თამაშს თავი.

რა შეიძლება მოკლედ ითქვას სხვა ლაურეატებზე? მაგალითად, მცველი პარკი კარგია დაცვაში, მაგრამ განსაკუთრებით სახიფათოა, როცა იერიშში ჩაერთვება ხოლმე. წლეულს პარკმა მეტოქეთა კარში ოცზე მეტი შაიბა გაიტანა, რაც მანამდე მცველთა შორის მხოლოდ ორმა შეძლო.

როგორც ხედავთ, თორმეტ ლაურეატს შორის ათი ამერიკის გუნდებში თამაშობს, თუმცა ისინი, ისევე როგორც ნჰლ-ის ჰოკეისტთა უმრავლესობა, კანადელები არიან. თავდაპირველად რამდენიმე ამერიკული გუნდის, მათ შორის, „სტენლის თასის" ფინალისტების — „ბოსტონ ბრიუინზისა" და „ნიუ-იორკ რეინჯერსის" პატრონებმა უაპელაციოდ განაცხადეს, რომ ამ კლუბების სპორტსმენებს სექტემბრის მატჩების სერიაში გამოსვლის უფლებას არ მისცემენ, აქაოდა ეს მატჩები „ტრავმების საფრთხეს" შექმნიან და „დაარღვევენ" მზადებას მომავალი სეზონისთვისო. ამ განცხადებებმა პირდაპირ აღშფოთების აფეთქება გამოიწვიეს კანადაში, აგრეთვე, ჰოკეისტთა შორისაც.

ამ ბოლო ხანს უფრო ოპტიმისტურ აზრებსაც გამოთქვამენ. ნჰლ-ის პრეზიდენტმა კ. კემპბელმა ამ დღეებში განაცხადა, რომ ამერიკული კლუბების პატრონები ეცდებიან თავი აარიდონ ჰოკეისტებთან კონფლიქტს. ნჰლ-ის ჰოკეისტთა ასოციაციის (ჰოკეისტთა თავისებური პროფკავშირის) აღმასრულებელმა დირექტორმა ა. იგლსონმა განაცხადა, რომ პროფესიული ჰოკეის უძლიერესი ვარსკვლავები რუსებთან ითამაშებენო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიშნა იგლსონმა, კლუბების მფლობელები ჩემს შავ სიაში მოხვდებიანო.

თუმცა, მათ თანხმობის მიცემა შეუძლიათ არა ჰოკეისტთა პროფკავშირის დირექტორის ზემოქმედების გამო, არამედ უფრო მათთვის ჩვეული ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე. პატრონები გაუშვებენ „თავიანთ" მოთამაშეებს, სამაგიეროდ კი, როგორც სპორტული მიმომხილველები ფიქრობენ, მოითხოვენ სატელევიზიო ტრანსლაციებიდან მიღებული თანხის, აგრეთვე, შემოსავლის ნაწილს.

ჯერჯერობით კი კანადაში მხოლოდ მარჩიელობენ იმაზე, თუ ვინ მიიღებს თამაშის უფლებას იმ შეხვედრებში, რომელთაც უკვე ახლა „საუკუნის მატჩებს" უწოდებენ.

ვ. ჩერნიშოვი.
(საქდესის კორ.).

ოტავა.

# კიდევ ერთი მატჩი

გუშინწინ კიევში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის II ტურის ბოლო შეხვედრა. თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები — „დინამო" და „სპარტაკი". ჩემპიონატის დებიუტანტმა „სპარტაკმა" უფრო გამოცდილი მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 15:9.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მსი | 2 | 2 | 0 | 0 | 28:21 | 4 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 0 | 21:6 | 3 |
| „სპარტაკი" (კიევი) | 2 | 1 | 0 | 1 | 27:24 | 2 |
| „დინამო" (კიევი) | 2 | 1 | 0 | 1 | 27:18 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 2 | 0 | 2 | 0 | 6:6 | 2 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 2 | 1 | 0 | 1 | 18:20 | 2 |
| სამხ.-საჰაერო აკადემია | 2 | 0 | 1 | 1 | 10:12 | 1 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2 | 0 | 0 | 2 | 6:36 | 0 |

# მეორე შეხვედრაშიც

ჟენევა, 19 ივნისი. გრძელდება ფიბა-ს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო საჩვენებელი მატჩების სერია: ევროპა — აშშ.

დღეს გაიმართა ამ ორი კონტინენტის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა, რომელმაც გამარჯვება კვლავ „ძველი სამყაროს" წარმომადგენლებს მოუტანა, ამჯერად ანგარიშით 88:61 (48:32).

ევროპის ღირსება წარმატებით დაიცვეს საბჭოთა კალათბურთელებმაც: ქარმუხამედოვმა 21 ქულა შესძინა გუნდს, ს. ბელოვმა — 15, პაულაუსკასმა — 12, ედეშკომ — 4.

# მუჰამედ ალი ემზადება

როგორც ცნობილია, მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მუჰამედ ალი გაცხოველებით ემზადება ამჟამინდელ ჩემპიონთან ჯო ფრეზიერთან მატჩ-რევანშისთვის.

ამ მზადების პროგრამაში შედის 12-რაუნდიანი შეხვედრა ცნობილ მოკრივესთან ჯერი ქვორისთან. ეს მატჩი 27 ივნისს გაიმართება ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში (ნევადის შტატი).

(საქ. ინფ.).

# ყინულზე — 13 აგვისტოს

ტორონტო. როგორც ცნობილია, კანადის იმ გუნდის მწვრთნელად, რომელიც რამდენიმე მატჩს გამართავს საბჭოთა ჰოკეისტებთან, ჰარი სინდენია დანიშნული. მწვრთნელმა აქ პრეს-კონფერენცია მოაწყო, სადაც ილაპარაკა მოთამაშეთა შერჩევის საწყის ეტაპზე, საწვრთნელი შეკრების გეგმებზე. სინდენმა შეკრებილთ აცნობა, რომ განზრახული აქვს მიიწვიოს 88 უძლიერესი ჰოკეისტი და ახლა მოლაპარაკება აქვს გამართული კლუბების მეპატრონეებთან. მაგრამ მწვრთნელს ჰოკეისტები არ ჩამოუთვლია, მხოლოდ აღნიშნა, რომ მისი სურვილია გუნდში მყავდეს ბობი ჰალი. ეს ჰოკეისტი სინდენმა პირველ ნომრად დაასახელა და კანადის „მისტერ ჰოკეი" უწოდა.

კანადელ ჰოკეისტთა საწვრთნელი შეკრება 13 აგვისტოს დაიწყება ტორონტოს „მეიპლ ლიფ გარდენსში". სინდენთან ერთად მოთამაშეებს მოამზადებს ჯონ ფერგიუსონი, ახლო წარსულში „მონრეალ კანადიენსის" პოპულარული თავდამსხმელი. ბევრი სპორტული მიმომხილველის აზრით, ფერგიუსონს განსაკუთრებული დავალება აქვს: მიაჩვიოს გუნდის წევრები ისევე სასტიკი და საბრძოლო მანერით თამაშს, როგორც თვითონ იცოდა ყინულის მოედნებზე. თავის დროზე ფერგიუსონს მონრეალის გუნდის „პოლიციელი" შეარქვეს.

(საქდესი).

# „ინდეპენდენსიას თასზე"

ბრაზილიაში გრძელდება ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

წინასწარ ჯგუფებში შედგა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფის ლიდერმა — საფრანგეთის ნაკრებმა უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო კოლუმბიელთა დამარცხება — 3:2. ფრანგებს 6 ქულა აქვთ.

II ჯგუფში წამყვან პოზიციებს ინარჩუნებენ პორტუგალიელები, რომლებმაც გაიმარჯვეს ჩილის ნაკრებთან შეხვედრაში — 4:1. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პორტუგალიელთა ვეტერანმა ეუსებიომ.

იუგოსლავიის გუნდმა კარგად აღებული სტარტის შემდეგ ბოლივიის ნაკრებთან შეხვედრაში მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო — 1:1.

რედაქტორი მ. ჭაჭავაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




„დინამო" (თბილისი) —
ცსკა
22 ივნისს
სათადარიგო შემადგენლობანი
23 ივნისს
ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 21 ივნისს, აბონემენტებზე — 21 და 22 ივნისს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში, საერთო გაყიდვა — 22-23 ივნისს 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02575